RONDELI FOUNDATION
GEORGIAN FOUNDATION FOR
STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

„კასპიის ზღვის დიდი კედელი“: პოსტსაბჭოთა ქვეყნების მიმართ რუსეთის დამოკიდებულების გეოგრაფიული ბუნება

მარიამ მიქიაშვილი

155

ექსპერტის აზრი

საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი
GEORGIAN FOUNDATION FOR STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

ექსპერტის აზრი

მარიამ მიქიაშვილი

„კასპიის ზღვის დიდი კედელი“: პოსტსაბჭოთა ქვეყნების მიმართ რუსეთის დამოკიდებულების გეოგრაფიული ბუნება

155

2021

პუბლიკაცია დაიბეჭდა ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით. გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორებს და შეიძლება არ ასახავდეს საელჩოს თვალსაზრისს.

ტექნიკური რედაქტორი: არტემ მელიქ-ნუბაროვი

საავტორო უფლებები დაცულია და ეკუთვნის საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდს. წერილობითი ნებართვის გარეშე პუბლიკაციის არც ერთი ნაწილი არ შეიძლება გადაიბეჭდოს არანაირი, მათ შორის ელექტრონული ან მექანიკური, ფორმით. გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები და დასკვნები ეკუთვნის ავტორს/ებს და შეიძლება არ ასახავდეს საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდის თვალსაზრისს.

© საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი 2021 წელი

ISSN 1512-4835
ISBN

თანამედროვე რუსეთის თვალთახედვით თუ ვიმსჯელებთ, ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნები, ბალტიის სახელმწიფოების გამოკლებით, შეგვიძლია დავყოთ ორ გეოგრაფიულ ჯგუფად: პირობითად „დასავლეთის ექვსეული“ ვუწოდოთ ბელარუსს, უკრაინას, მოლდოვას, საქართველოს, სომხეთსა და აზერბაიჯანს, ხოლო „აღმოსავლეთის ხუთეულს“ მივაკუთვნოთ მთელი პოსტსაბჭოთა ცენტრალურ აზია, ანუ ყაზახეთი, ყირგიზეთი, უზბეკეთი, ტაჯიკეთი და თურქმენეთი. ამგვარი დაჯგუფების საფუძვლად მივიჩნევთ სახელმწიფოს მდებარეობას კასპიის ზღვასთან მიმართებით.

სიახლე არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ პოსტსაბჭოთა სივრცეში რუსეთის მთავარი მიზანი ყოველთვის იყო „ფერადი რევოლუციებისა“ და დემოკრატიზაციის აღკვეთა,[1] ანუ რუსეთისათვის მისაღები პოლიტიკური და სოციალური „სტაბილურობის“ შენარჩუნება. თუმცა „სტაბილურობის“ შესანარჩუნებლად რუსეთის ქმედებათა რაობა ცალკეულ პოსტსაბჭოთა ქვეყნებში ფუნდამენტურად განსხვავდება. ზოგან „სტაბილურობა“ ქვეყნის შიდა დესტაბილიზაციამ და ცენტრალური ხელისუფლების მიმართ დესტრუქციულმა ქცევამ უნდა უზრუნველყოს, ზოგან კი პირიქით – რუსეთის კონსტრუქციულობამ ცენტრალური ხელისუფლებისა და სახელმწიფოს კონსოლიდაციის მიმართ. მაინც რამდენად განსაზღვრავს რუსეთის დამოკიდებულებას კონკრეტული პოსტსაბჭოთა სახელმწიფოს მიმართ თავად ამ ქვეყნის პოლიტიკა ან რეჟიმის ტიპი? სად რამდენად არის რუსეთის თვალში გაიგივებული „ცენტრალური ხელისუფლება,“ „სახელმწიფო“ და „სტაბილური რეჟიმი“? საერთოდაც, რას გულისხმობს „სტაბილურობა“ და რითი განსხვავდება ის უბრალოდ „ავტორიტარიზმისაგან“ – რუსეთისთვის ყველაზე მისაღები მმართველობის ფორმისაგან? რამდენად მართებულია, რომ „სტაბილურობის“ ალტერნატივას უბრალოდ „დემოკრატიზაცია“ ვუწოდოთ? არის თუ არა რუსეთის რეაქცია ნებისმიერი ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკის დემოკრატიზაციის მიმართ ერთნაირი?

შესაძლოა, ერთი შეხედვით მივიჩნიოთ, რომ რუსეთის კონს–ტრუქციულობა დამოკიდებულია მხოლოდ კონკრეტულ სახელმწიფოში მთავრობის ხელისუფლებაში მოსვლის ფორმაზე და რომ იგი ორმხრივად სასარგებლო ურთიერთობას ინარჩუნებს, მაგალითად, ყაზახეთთან და აზერბაიჯანთან, რადგან საბჭოთა ელიტებისაგან შობილი ავტორიტარული რეჟიმები რუსეთს ბუნებრივად უქმნის კომფორტს. თუმცა საქმე ასე მარტივადაც არ არის. ჩნდება კითხვები: რატომ არ უარესდება ფუნდამენტურად რუსეთის ურთიერთობა ყირგიზეთთან? მან ხომ 2005 და 2010 წლებში ორი რევო-

ლუცია გამოიარა და ქვეყანას რევოლუციებამდეც ცენტრალური აზიის „დემოკრატიის კუნძულად“ მოიხსენიებდნენ.[2] მართალია, ყირგიზეთი ჯერაც „რბილ ავტორიტარიზმად“ შეგვიძლია[3] მივიჩნიოთ, მაგრამ ფაქტია, რომ რუსეთმა ყირგიზეთის პრეცედენტი არ მიიჩნია სასიცოცხლო საფრთხედ და არც საკუთარი სამხედრო ძალებით ჩაერია ქვეყანაში 2010 წლის რევოლუციის შემდეგ მომხდარი ეთნიკური არეულობის მოსაგვარებლად. არადა ყირგიზეთმა თავად სთხოვა რუსეთს სამხედრო დახმარება.[4] 2020 წელს კი, ყარაბაღის მეორე ომის შედეგად, რუსეთმა იქ საკუთარი სამშვიდობოები ჩააყენა.[5] ეს მოხდა იმის მიუხედავად, რომ სომხეთი მჭიდროდ და სასიცოცხლოდ არის ინტეგრირებული რუსული ორბიტის თავდაცვისა და ეკონომიკურ სტრუქტურებში.[6] რუსეთის სტრატეგიული პარტნიორის ომში დამარცხებას არცთუ იშვიათად აღიქვამენ, რომ რუსეთმა სომხეთი დემოკრატიზაციის მცდელობის გამო დასაჯა,[7] მაგრამ ისიც ცხადია, რომ ყარაბაღში საკუთარი სამშვიდობოების ჩაყენებას რუსეთი ჯერ კიდევ „ძველი რეჟიმის“ დროს ითხოვდა.[8] შესაბამისად, საინტერესოა, რატომ ნიშნავდა ყარაბაღის შემთხვევაში რუსეთისათვის მისაღებ „სტაბილიზაციას“ რუსეთის სამხედრო ჩარევა, ხოლო ყირგიზეთის შემთხვევაში – სამხედრო ჩაურევლობა?

იმისათვის, რომ რუსეთის ქმედებათა ლოგიკა უკეთ გავიგოთ, ჯერ სწორედ ცენტრალური აზიის განხილვა მიგვაჩნია მიზანშეწონილად. „აღმოსავლეთის ხუთეული“ ეთნიკურად ჭრელი რეგიონია, სადაც კლანები დღემდე მნიშვნელოვან როლს ასრულებენ.[9] ამიტომ აღნიშნავენ ექსპერტები მუდამ, რომ რეგიონი უსაშველოდ ქაოსურია და შესაძლოა, ნებისმიერ წამს „აფეთქდეს.“ მიუხედავად ამისა, რეგიონის ქვეყნებმა დღემდე მოახერხეს უმცირესობებსა და კლანურ კონფლიქტებთან ასე თუ ისე წარმატებით გამკლავება და რუსეთთან საკმაოდ თბილი ურთიერთობების შენარჩუნება. რუსეთი ან არ ერევა ამ სახელმწიფოთა „შიდა“ საქმეებში (როგორც ეს 2010 წელს ყირგიზეთში მოხდა), ან საჭიროების შემთხვევაში სამთავრობო ძალებს უმაგრებს ზურგს და გულწრფელად არის დაინტერესებული ვითარების მოგვარებით. 1990-იან წლებში რუსეთი აქტიურად, მათ შორის – სამხედრო ძალითაც, უჭერდა მხარს ტაჯიკეთის მთავრობას ქვეყანაში მძვინვარე სამოქალაქო ომის დროს, რათა საბჭოთა ელიტების მართულ ტაჯიკეთში სიმშვიდე და სტაბილურობა რაც შეიძლება მალე აღდგენილიყო.[10] ელიტების მსგავსი ონტოლოგია (საბჭოთა ნომენკლატურული წარმომავლობა, ავტორიტარიზმი, კორუმპირებულობა და ა.შ.), მსგავსი არსია,

ერთი მხრივ, რუსეთის მხრიდან ცენტრალური აზიის ქვეყნებთან შედარებით კონსტრუქციული ურთიერთობის განმაპირობებელი მიზეზი, ხოლო მეორე მხრივ კი – თავად ცენტრალური აზიის ქვეყნების ერთმანეთთან მშვიდობიანი და თანამშრომლობითი ურთიერთობის გარანტი, რაც გამორიცხავს რეგიონში საერთაშორისო კონფლიქტებს და სახელმწიფოთა მიერ ერთმანეთის საზღვრებში სეპარატიზმის მხარდაჭერას. ცენტრალური აზიის ქვეყნები რუსეთის „შეთანხმებული ჰეგემონიის" სფეროში არიან, რაც იმას ნიშნავს, რომ რუსეთს რეგიონში გარკვეული კულტურული, მატერიალური და პოლიტიკური დომინირების უფლება ეძლევა, თუმცა – არა ყოველთვის და არა ყველაფერში.[11] მაგალითად, ყირგიზეთის მხრიდან რუსეთის სამხედრო ძალთა მოწვევა 2010 წლის შეტაკებების ჩასახშობად მისმა მეზობლებმა სწორედ იმიტომ დაგმეს, რომ, მათი აზრით, რუსეთი არ უნდა ჩარეულიყო რეგიონის შიდა საქმეებში.[12] ცენტრალური აზიის პოსტსაბჭოთა ავტორიტარებს აერთიანებთ დაუწერელი კანონი, არ შექმნან რეგიონში არეულობისა და ხელისუფლების ძალადობრივი ცვლილების პრეცედენტი, რადგან მათ ესმით, რომ წარმატებული სეპარატიზმი, ბუნტი თუ დემოკრატიზაცია ადრე თუ გვიან მათ რეჟიმსაც შეურყევს საფუძველს.[13]

ცენტრალური აზიის რეჟიმების ლეგიტიმაციის წყარო არის ხალხისთვის ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური „სტაბილურობის" უზრუნველყოფა (ან ამის ილუზიის შექმნა).[14] ამას ხელს უწყობს ალტერნატივის არარსებობა და საყოველთაო უიმედობა, რომ ალტერნატიული, უკეთესი ტიპის, მთავრობა შეიძლება მოვიდეს და ცხოვრება ძირეულად გაუმჯობესდეს. სწორედ უკეთესობის იმედის არარსებობას აღნიშნავს ანა მატვეევა, როდესაც ცენტრალური აზიის „უბედურებათა იერარქიაზე" (hierarchy of disasters) საუბრობს.[15] „უბედურებათა იერარქია" ძალზე საყურადღებო კონცეფციაა. იგი ნებისმიერ რეგიონს შეიძლება მოვარგოთ. ფაქტობრივად, „უბედურებათა იერარქია" ნიშნავს, რომ საზოგადოებები აზროვნებენ საკუთარ მეზობლებთან მუდმივი მენტალური შედარების ჭრილში და მათ „უბედურებათა იერარქიის" კიბეზე თავიანთ ადგილს უძებნიან. მაგალითად, იმისათვის, რომ ყაზახები პოლიტიკური თანამონაწილეობის შეზღუდულობის გამო საკუთარ მთავრობას არ აუჯანყდნენ, მათ ელიტები ეუბნებიან, რომ მადლიერები უნდა იყვნენ, მეზობელ უზბეკეთში რომ არ ცხოვრობენ, რადგან უზბეკეთში ადამიანის უფლებებს უფრო მეტად უგულებელყოფენ.[16] რეგიონის ყველა ქვეყანაში ხალხს ყირგიზეთის სცენარით აშინებენ და შთააგონებენ, რომ დემოკრატიზაციის მცდელობა და რევოლუ-

ცია სიღარიბისა და არეულობის, მათ შორის – ეთნიკური შეტაკებების, საწინდარია.[17] დემოკრატიას ცენტრალური აზიის რეჟიმები (ყირგიზეთის გარდა მაინც) სუსტ და არაეფექტურ მმართველობასთან, ქაოსთან აიგივებენ, ხოლო უმთავრეს ღირებულებად, რისი დათმობაც ადამიანს არაფრის გამო არ უნდა უღირდეს, სოციალურ-პოლიტიკურ სტაბილურობას და მისგან გამომდინარე ეკონომიკურ განვითარებას ასახელებენ.[18] ადვილი მისახვედრია, რომ ასეთი ნორმატიულად დადებითი ელფერის სტაბილურობა ცენტრალურ აზიაში მარტივად იღებს იმ უარყოფითი „სტაბილურობის“ ელფერს, როგორზეც ჩვენ გვაქვს საუბარი. აღსანიშნავია, რომ ცენტრალური აზიის მოსახლეობის უდიდესი ნაწილისთვის „ნამდვილი“ დემოკრატია ასოცირდება ეკონომიკურ და ფიზიკურ უსაფრთხოებასთან, სიმშვიდესთან.[19] აქედან გამომდინარე, ლოგიკურად ხდება „დემოკრატიისა“ და ავტორიტარული და კორუმპირებული „სტაბილურობის“ ტერმინთა გაიგივება და სამოქალაქო პროტესტის ნებისმიერი ფორმის დემონიზება.

ყირგიზეთი იყო ერთადერთი სახელმწიფო ცენტრალურ აზიაში, რომლის პირველი პრეზიდენტიც გახდა არა საბჭოთა მაღალჩინოსანი, არამედ ყირგიზეთის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ასკარ აკაევი – რამდენიმე დაპირისპირებული კლანის კომპრომისული კანდიდატურა. აკაევი, მართალია, თავდაპირველად იზიარებდა ლიბერალურ შეხედულებებსა და რეფორმებისაკენ სწრაფვას, მაგრამ ბოლოს, შიდაკლანური დაპირისპირებების ფონზე, გეზი კლასიკური ავტორიტარიზმისკენ აიღო.[20] მიუხედავად რევოლუციებისა, ყირგიზეთის სხვადასხვა მთავრობა ბოლოს მაინც ეფლობა კლანურ დაპირისპირებებსა და ავტორიტარულ ცდუნებებში.[21] საბოლოოდ იქმნება ვითარება, რომ რეჟიმები მოდიან რევოლუციებით, მაგრამ პოსტსაბჭოთა ტიპის ავტორიტარული, კორუმპირებული სისტემა ყირგიზეთში მაინც განაგრძობს არსებობას. შესაბამისად, მოსკოვის პერსპექტივიდან, ყირგიზეთში, შესაძლოა, მდგომარეობა ყოველთვის ადვილად პროგნოზირებადი არ იყოს, მაგრამ ჯერჯერობით მაინც ხელუხლებელია პოსტსაბჭოთა ტიპის სოციალური და პოლიტიკური არსი. სწორედ ამას ნიშნავს „სტაბილურობა“ რუსეთის გადმოსახედიდან. მას არ აშინებს რევოლუციები და შედარებით თავისუფლად ჩატარებული არჩევნები, თუ მან იცის, რომ ყირგიზეთის მთავრობა მაინც ვერ წარმოშობს რეალურად თავისუფალ და ეკონომიკურად აყვავებულ, სწრაფად განვითარებად, „დინამიკურ“ საზოგადოებას. თუმცა, თუკი ყირგიზეთის შემთხვევას გეოგრაფიული კონტექსტისაგან განყენებულად

ავიღებთ, მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ რუსეთისთვის ყირგიზეთის „სტაბილურობაში“ დასარწმუნებლად გარკვეული დრო უნდა გასულიყო და რომ რუსეთი ამ შედეგის დადგომას ყოველგვარი საგანგებო ღონისძიებების გარეშე დაელოდა. მართალია, ყირგიზეთი რუსეთის მიერ დომინირებული ევრაზიული ეკონომიკური კავშირის წევრი გახდა, მაგრამ მისი წევრობა რუსეთის მხრიდან უშუალოდ დემოკრატიზაციის წინააღმდეგ სადამსჯელო ღონისძიებად ვერ განიხილება (ცალსახად მაინც). ჯერ ერთი, ყაზახეთი ასევე არის ევრაზიული ეკონომიკური კავშირის წევრი და რუსეთი ცდილობს, ორგანიზაციას უზბეკეთიც შეუერთოს (მას ახლა დამკვირვებლის სტატუსი აქვს).[22] ორივე ქვეყანა მყარად ავტორიტარულია.

შესაბამისად, რუსეთმა იცის და ყოველთვის იცოდა, რომ შეუძლია შედარებით მშვიდად იყოს იქამდე, სანამ ყირგიზეთს სამეზობლოში დემოკრატიზაციის არც მისაბაძი მაგალითი ჰყავს და არც ქომაგი. დემოკრატიზაციისთვის მტრულად განწყობილი გეოგრაფიისა და, შესაძლოა, მისი ბუნებრივი რესურსების ნაკლებობის გამოც რუსეთს ყირგიზეთი ნაკლებად წარმოუდგენია ცენტრალურ აზიაში წარმატებული დემოკრატიზაციის გამავრცელებელ კერად. რუსეთმა ყირგიზეთში ვითარების სამხედრო ძალით დარეგულირებაზე უარი რამდენიმე მიზეზით თქვა: რეგიონის ქვეყნები მას ამ საქციელს არ მოუწონებდნენ, ხოლო არსებულ რეჟიმებთან დაპირისპირება ამ საკითხის გამო არ ღირდა, რადგან ყირგიზეთში ეთნიკურად უზბეკი მოსახლეობის დაცვით არც უზბეკეთი იყო დაინტერესებული. თუკი უზბეკეთის მთავრობა მეზობელი ქვეყნის სუვერენულ საქმეში ჩაერეოდა, მან იცოდა, რომ შესაძლოა, ეს ნაბიჯი ბუმერანგად დაბრუნებოდა;[23] ამიტომ ქვეყანაში ყირგიზებსა და უზბეკებს შორის შეჯახება ლოგიკურად შეირაცხებოდა ისევ და ისევ „მავნე“ დემოკრატიზაციის ქაოსის მომტან გამოვლინებად ისე, რომ რეგიონის ეთნიკური რუკა და საერთაშორისო ურთიერთობები რეალურად არ „აფეთქდებოდა.“ როგორც ვხედავთ, ყირგიზეთის შემთხვევაში სწორედ სამხედრო ჩაურევლობამ უზრუნველყო არსებული „უბედურებათა იერარქიის“ შენარჩუნება, რაც რუსეთისთვის ცენტრალური აზიის „სტაბილურობის“ საფუძველია. აქვე მოკლედ აღვნიშნავთ, რომ რეგიონში, რუსეთის გარდა, მნიშვნელოვანი აქტორია ჩინეთი, რომელიც ასევე არ არის დაინტერესებული რეგიონის დემოკრატიზაციით და რომელთანაც რუსეთი ჯერჯერობით მაინც საერთო ენას ნამდვილად პოულობს, თანაც, ძირითადად, ანტიდასავლურ და ანტიდემოკრატიულ ნიადაგზე.[24]

სანამ „დასავლეთის ექვსეულის“ განხილვაზე გადავიდოდეთ, მოკლედ განვიხილოთ რუსეთ-ყაზახეთის ბოლოდროინდელი ურთიერთობებიც, რადგან მრავალმა ადამიანმა შეიძლება მიიჩნიოს, რომ ამ ურთიერთობის დინამიკა შეუთავსებელია აქ გაჟღერებულ მოსაზრებებთან. 2014 წელს ვლადიმირ პუტინმა საჯაროდ დააყენა კითხვის ნიშნის ქვეშ ყაზახეთის სახელმწიფოს არსებობის ისტორიული ლეგიტიმურობა, რასაც ყაზახეთის მაშინდელ პრეზიდენტ ნურსულთან ნაზარბაევისგან ევრაზიული ეკონომიკური კავშირის დატოვების მუქარა და ყაზახური საზოგადოების უკიდურესი გაღიზიანება მოჰყვა.[25] 2020 წელს გამოშვებულ დოკუმენტურ ფილმში „რუსეთი. კრემლი. პუტინი“ ვლადიმირ პუტინმა თქვა, რომ ყოფილმა საბჭოთა რესპუბლიკებმა დამოუკიდებლობა მიიღეს რუსეთის მიერ „ნაჩუქარ“ ისტორიულ რუსულ მიწებთან ერთად.[26] იმის გათვალისწინებით, რომ ჩრდილოეთ და აღმოსავლეთ ყაზახეთი დიდწილად ეთნიკური რუსებითაა დასახლებული, ამ განცხადებამ ყაზახეთში განსაკუთრებული შეშფოთება გამოიწვია.[27] ნურსულთან ნაზარბაევს არასდროს მიუცია რუსეთისთვის მიზეზი, ეფიქრა, რომ ყაზახეთის რუსები შევიწროებული არიან, მაგრამ ამის პარალელურად, დროთა განმავლობაში მაინც მოხერხდა რუსებით დასახლებულ მიწებზე ყაზახთა პროცენტული რაოდენობის გაზრდა (რასაც ემსახურებოდა დედაქალაქის მაშინდელ ქ. ასტანაში გადატანაც) და ყაზახური კულტურის, ენისა და მსოფლმხედველობის სხვადასხვა დოზით გავრცელება იმ ადგილობრივ რუსებზე, ვინც ყაზახეთში დარჩა და საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ რუსეთში არ გადასულა საცხოვრებლად.[28] გულუბრყვილობა იქნება, თუ მივიჩნევთ, რომ რუსეთს ეს ყოველივე თვალთახედვიდან გამორჩა. მან უბრალოდ დაუშვა ეს პროცესი და არ „დაიცვა რუსთა ინტერესები“ ისე, როგორც ეს უკრაინაში მოხდა. ეს ცხადყოფს, რომ შიგადაშიგ მუქარის დონეზე იმისი შეხსენების მიუხედავად, თუ ვინ არის რეგიონში დომინანტი ძალა, რუსეთის ინტერესებში ყაზახეთის სუვერენიტეტის ხელყოფა მაინც არასდროს ყოფილა. ამისი მიზეზი სწორედ გეოგრაფია უნდა იყოს, კერძოდ კი, ის, რომ ყაზახეთის წინააღმდეგ განხორციელებული ქმედებები მთელი რეგიონის „სტაბილურობასა“ და რუსეთის „შეთანხმებულ ჰეგემონიას“ თავდაყირა დააყენებს. სავარაუდოდ, ყაზახეთის ტერიტორიული მთლიანობა არ იქნებოდა ისეთივე დაცული, ქვეყანა კასპიის ზღვის დასავლეთით რომ მდებარეობდეს.

„უბედურებათა იერარქია“ მნიშვნელოვანი კონცეფციაა იმის ასახსნელად, თუ რატომ განსხვავდება რუსეთის ქმედებები

„დასავლეთის ექვსეულთან“ მიმართებით. უკრაინა, ბელარუსი, მოლდოვა და სამხრეთ კავკასიის ქვეყნები გეოგრაფიულად ახლოს მდებარეობენ იმ სახელმწიფოებთან, რომელთა დემოკრატიზაციაც წარმატებული, იმედის მომცემი მაგალითია ცხოვრების, ფაქტობრივად, ყველა სფეროში. ზოგადად შეგვიძლია, „უბედურებათა იერარქიის“ ანა მატვეევასეულ ცნებას კულტურულ-ისტორიული განზომილებაც დავუმატოთ: მართალია, ყველა მეზობელმა შეიძლება იქონიოს გავლენა ჩვენს თვალთახედვაზე, მაგრამ ლოგიკურიცაა, რომ განსაკუთრებული ეფექტი იმ სახელმწიფოებში მიმდინარე მოვლენებს ექნება, რომელთა კულტურა და ისტორიული გამოცდილებაც ჩვენთვის უფრო ახლოა. მოლდოვაზე, ურკაინასა და ბელარუსზეც რომ არაფერი ვთქვათ, კულტურული და ისტორიული პერსპექტივით სამხრეთ კავკასიის თითოეულ ქვეყანასაც აქვს დანარჩენ ევროპასთან და დემოკრატიულ ღირებულებებთან თვითასოცირების საკმარისი საფუძველი, რომ შესაბამისი პოლიტიკური ვითარების შემთხვევაში, ადრე თუ გვიან, ევროპის ცნების განუყოფელ ნაწილად იქცნენ. ეს ცნება ხომ დღეს, პირველ რიგში, დემოკრატიასთან და თავისუფლებასთან ასოცირდება (მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში ევროპის ზოგიერთ სახელმწიფოში შეინიშნება დემოკრატიის ხარისხის მნიშვნელოვანი გაუარესება). ეს ყოველივე აძლიერებს რუსეთის დისკომფორტის მთავარ ფაქტორს – ამ ქვეყნების გეოგრაფიულ მდებარეობას. შავ ზღვაზე არსებული გასასვლელითა და ნატოს წევრი თურქეთის უშუალო მეზობლობით სამხრეთ კავკასია უბრალოდ „საშიშად“ ახლოსაა ევროკავშირისა და ნატოს ქვეყნებთან იმისათვის, რომ იქ დემოკრატიზაცია ევროატლანტიკური ელფერის გარეშე განვითარდეს, რომ აღარაფერი ვთქვათ უკრაინაზე, ბელარუსსა და მოლდოვაზე. ამ ყველაფრიდან გამომდინარე, დემოკრატიზაციის ქაოსთან გაიგივება „დასავლეთის ექვსეულის“ ქვეყნებში პრობლემური ხდება. შესაბამისად, რუსეთის ქმედებებიც უფრო საგანგებო ძალისხმევას მოითხოვს იმისათვის, რომ მან როგორმე მოახერხოს და „დასავლეთის ექვსეული“ პოსტსაბჭოთა „სტაბილურობის“ ორბიტაზე დატოვოს.

1990-იან წლებში ლიბერალური დემოკრატია მსოფლიოში გამარჯვებულ სოციალურ-პოლიტიკურ წყობად განიხილებოდა (ფრენსის ფუკუიამას ცნობილი „ისტორიის დასასრული“), რაც, რა თქმა უნდა, საბჭოთა დროს აღზევებულ მაღალჩინოსნებს რუსეთის უსაფრთხოებისა და სამხედრო სტრუქტურებში საერთოდ არ ახარებდა. სეპარატისტულად განწყობილი მხარეების სწორედ მათგან სხვადასხვა დოზით აქტიური წაქეზებითა თუ პასიური მხარდაჭე-

რით გაჩნდა ჯამში ოთხი დე ფაქტო სახელმწიფო სამხრეთ კავკასიასა და მოლდოვაში.[29] ამას გამოვყოფთ იმიტომ, რომ მრავალი ექსპერტი ფაქტობრივ შეცდომად მიიჩნევს 1990-იანი წლების რუსეთის შესახებ მსჯელობას ისე, თითქოს რუსეთის ხელისუფლება მჭიდროდ კოორდინირებული მონოლითური მექანიზმი ყოფილიყო. თხრობის სიმარტივისთვის მაშინდელ პოლიტიკურ აქტორად მაინც „რუსეთი“ მოვიხსენიოთ. შემდეგ ხელისუფლებაში კგბ-ის ყოფილი ოფიცერი ვლადიმირ პუტინი მოვიდა და 1990-იანი წლებში შედარებით გავრცელებული ლიბერალური შეხედულებები რუსეთის ახალი პოლიტიკური იდენტობის შესახებ ნელ-ნელა მარგინალიზდა.[30]

შესაძლოა, ვინმემ თქვას, რომ პოსტსაბჭოთა რუსეთმა „დასავლეთის ექვსეულში“ ფაქტობრივად ყოველთვის სეპარატიზმის მხარე იმიტომ დაიჭირა, რომ თავდაპირველად საქართველოშიც, აზერბაიჯანშიც და მოლდოვაშიც სათავეში ანტირუსულად/ანტისაბჭოურად განწყობილი ლიდერები მოვიდნენ და რომ სეპარატიზმს ნაკლები გასაქანი მიეცემოდა, თუ „დასავლეთის ექვსეულის“ ქვეყნებშიც საბჭოთა დროინდელი მაღალჩინოსნები გახდებოდნენ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა ლიდერები, როგორც ეს ცენტრალურ აზიაში მოხდა. სემუელ ჰანთინგტონის აზრით, სწორედ თბილისში თავისი მორჩილი მთავრობის მისაღებად ჩაერია რუსეთი საქართველოს წინააღმდეგ მიმდინარე სეპარატისტულ ომებში.[31] ეს მიდგომა საკამათოა, თუმცა თუ სიმართლეა ჰიპოთეზა, რომ რუსეთის მხრიდან პოსტსაბჭოთა სივრცეში ევროპეიზაციისა და დემოკრატიის სიძულვილი დიდწილად გეოგრაფიული ბუნებისაა, მაშინ საკვირველი არ უნდა იყოს, რომ რუსეთი ეცდება „დასავლეთის ექვსეულის“ სახელმწიფო მნიშვნელოვნად დააზიანოს მაშინაც კი, თუ მას ავტორიტარული, კორუმპირებული და „პრორუსული“ ელიტები მართავენ. ამის მაგალითებად შეგვიძლია სერჟ სარგსიანის დროინდელი სომხეთი და ლუკაშენკოს ბელარუსი მოვიყვანოთ.

2013 წლის მდგომარეობით, სომხეთი უკვე იყო კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციის (CSTO) წევრი, მის საზღვრებს ირანთან და თურქეთთან საბჭოთა კავშირის დროიდან მოყოლებული რუსი მესაზღვრეები აკონტროლებდნენ (რაც დღემდე ასეა), ქვეყანას უკვე ჰქონდა დადებული შეთანხმება რუსეთთან, რომლის მიხედვითაც რუსული 102-ე სამხედრო ბაზა ქალაქ გიუმრიში 2044 წლამდე აგრძელებს ფუნქციონირებას[32] და ა.შ. თუმცა 2013 წლის შემოდგომაზე პრეზიდენტ სერჟ სარგსიანს ხელი უნდა მოეწერა ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებაზე, რაც ასევე მოიცავდა ევროკავშირთან „ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუ-

ფალი ვაჭრობის შეთანხმებასაც“ (DCFTA). მოხდა ისე, რომ არაერთი დასავლელი ექსპერტისთვის მოულოდნელად, სარგსიანის რუსეთში ვიზიტის შემდეგ, სომხეთმა ევროკავშირთან ასოცირების ხელმოწერას ევრაზიულ ეკონომიკურ კავშირში გაწევრიანება არჩია.[33] 2017 წელს კი, როდესაც სომხეთი სამხედრო და უსაფრთხოების სფეროებს დამატებული უკვე ევრაზიული ეკონომიკური კავშირის წევრიც იყო, ხელი მოეწერა ევროკავშირთან „ყოვლისმომცველი და გაფართოებული პარტნიორობის შეთანხმებას“ (CEPA), რაც სომხეთის მხრიდან გარკვეული პოლიტიკური რეფორმების გატარებას გულისხმობდა. ჟურნალისტმა ჯოშუა კუცერამ ეს ფაქტი დასავლეთზე ორიენტირებული სომხებისათვის იმედის ნაპერწკლადაც მონათლა.[34] მიუხედავად იმისა, რომ სომხეთი სასიცოცხლოდ იყო (და ჯერაც არის) მიბმული რუსეთზე და რომ სარგსიანისა და მისი წინამორბედების („ყარაბაღის კლანის“) რეჟიმი დემოკრატიული არ იყო, რუსეთი მაინც ხედავდა სომხეთის შესაძლო „ხელიდან დაცდენის“ საფრთხეს. სავარაუდოდ, სწორედ ამიტომ, ამ პირობებშიც კი, იგი აქტიურად განიხილავდა ყარაბაღში რუსი სამშვიდობოების ჩაყენების საკითხს.[35] მართალია, რუსეთს ნაკლებად ჰქონდა იმისი შეგრძნება, რომ ვითარება აღარ იცდიდა და რადაც არ უნდა დაჯდომოდა, ყარაბაღში საკუთარი სამშვიდობოები დაუყოვნებლივ უნდა განეთავსებინა, მაგრამ თავად ის ფაქტიც, რომ სომხეთის საკონტროლებლად კიდევ რაიმე დამატებითი ბერკეტი სჭირდებოდა, რუსეთის შიშის გეოგრაფიულ ბუნებაზე მეტყველებს.

ბელარუსს რაც შეეხება, იგი ყველაზე რუსიფიცირებული პოსტსაბჭოთა რესპუბლიკაა, მაგრამ განსხვავებით „დასავლეთის ექვსეულის“ სხვა ქვეყნებისაგან, არ აქვს პოტენციური პრორუსული სეპარატიზმის რეგიონული კერა. რუსეთმა ეს ქვეყანა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება „დაკარგოს“, თუკი ბელარუსში დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფო განვითარდება და ბელარუსები იგრძნობენ რეალურ განსხვავებას კრემლსა და დასავლეთს შორის. ეს პროცესი ბელარუსში დიდი ალბათობით სწორედ ახლა, ლუკაშენკოს საწინააღმდეგო პროტესტის შედეგად, მიმდინარეობს.[36] ამის თავიდან ასაცილებლად რუსეთი ცდილობდა და გარკვეულწილად ახლაც ცდილობს, ბელარუსი რაიმე მიმზიდველი „შეფუთვით“ თუ იურიდიულად არა, ფაქტობრივად მაინც რუსეთის შემადგენლობაში შეიყვანოს.[37]

ვინაიდან „დასავლეთის ექვსეულის“ ქვეყნებში ვერ ხერხდება დემოკრატიზაციის წინასწარი დემონიზება, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მისი პოსტ ფაქტუმ დისკრედიტაცია. ამ სახელმწი-

ფოებიდან ოთხი – საქართველო, უკრაინა, მოლდოვა და სომხეთი – დემოკრატიზაციის გზას დაადგნენ. საყურადღებოა, რომ მოლდოვას რუსეთთან საერთო საზღვარი არ გააჩნია. საქართველოსთან ცხადად კონფრონტაციული ურთიერთობა, რა თქმა უნდა, რუსეთის მხრიდან მიხეილ სააკაშვილის პიროვნებას დაბრალდა. სომხეთის დემოკრატიზაციის შესახებ რუსეთს ხმამაღლა არ გამოუხატავს შეშფოთება, რადგან რევოლუციის ლიდერმა ნიკოლ ფაშინიანმა რევოლუცია, დემოკრატიზაცია და „ვესტერნიზაცია" ერთმანეთთან შეგნებულად არ გააიგივა.[38] უკრაინის შემთხვევაშიც რუსეთი აცხადებდა, რომ იგი უბრალოდ ეთნიკური რუსების უფლებებს იცავდა „ფაშისტებისაგან" ან რომ რუსულენოვანი მოსახლეობა თავად გაემიჯნა უკრაინას.[39] თუმცა რეტროსპექტულად იკვრება ერთიანი სურათი, რომ საქართველოშიც, უკრაინაშიც და სომხეთშიც რევოლუციურ ცვლილებებს ომი მოჰყვება.[40] აქედან გამომდინარე, რუსეთი ცდილობს, ამ ქვეყნების მოსახლეობის თვალშიც დემოკრატიზაცია ქაოსს, სისხლისღვრასა და უბედურებას გაუთანაბროს. მოსახლეობა უნდა მივიდეს დასკვნამდე, რომ დემოკრატია „კარგი" რომც იყოს, მას რეგიონში არაფერი ესაქმება, რომ იგი არ ღირს რუსეთის გაღიზიანებად. ყარაბაღში დამარცხების შემდეგ 2020 წლის ნოემბრის პროტესტების დროს ზოგიერთმა სომეხმა დემონსტრანტმა ეს აზრი ღიად გააჟღერა.[41]

თუმცა ვინაიდან დემოკრატიზაცია ამ ქვეყნებში უკვე ნაწილობრივ განხორციელებულია, კლასიკური ტიპის ავტორიტარიზმის აღორძინება საკმაოდ რთული საკითხია. ამრიგად, ამ საზოგადოებებში რუსეთისათვის სასურველი „სტაბილურობის" მომტანი ლოგიკურად არის დემოკრატიზაციისა და რეფორმების შეჩერება, მათი გაუგებარ დონეზე გაყინვა. რუსეთისთვის, რა თქმა უნდა, ცუდია, რომ დემოკრატიზაცია დაიწყო, მაგრამ ლიბერალური დემოკრატიის საბოლოო დამკვიდრებას, ბუნებრივია, ქვეყნის ჰიბრიდულ სტადიაში „გაყინვა" სჯობს. ამ მოჩვენებით დემოკრატიას კი უზრუნველყოფს თავისუფალი არჩევნების მინიმალური სტანდარტისა და არადემოკრატი, კორუმპირებული პოლიტიკური სპექტრის არსებობა.[42] თუ მთელი პოლიტიკური სპექტრი არა, მაშინ რუსეთმა ის მაინც უნდა მოახერხოს, რომ მთავრობა იყოს ასეთი. რუსული ფულით გამდიდრებული და რუსული მსოფლმხედველობის მქონე ოლიგარქების ადგილობრივი დომინირება ამ ყოველივეს უზრუნველყოფის კარგი საშუალებაა.[43] თუმცა დასტური იმისა, რომ „დასავლეთის ექვსეულში" არც დემოკრატიზაციის შემდგომ „დასტაბილურება" ცვლის რუსეთის დამოკიდებულე-

ბას, საქართველოს მაგალითიცაა. 2012 წლიდან რუსეთის მიმართ საქართველოს მთავრობის რიტორიკა შემსუბუქდა, ბოლო წლებში ქვეყანაში შეინიშნება დემოკრატიზაციის მნიშვნელოვანი სტაგნაციაც (რომელსაც სულ უფრო ხშირად სახელმწიფოს მიტაცებასაც კი უწოდებენ).[44] მაგრამ რუსეთი არ წყვეტს საქართველოს ტერიტორიების მცოცავ ოკუპაციასაც კი. იგი ამ „სტაბილიზაციის“ პერიოდს ლოგიკურად იყენებს ქვეყანაში ეკონომიკური გავლენებისა და რბილი ძალის გასაძლიერებლად.

* * *

რუსეთისთვის პოსტსაბჭოთა სახელმწიფოს დემოკრატიზაცია საგანგაშოა იმდენად, რამდენადაც იგი შეიძლება იქცეს დასავლური ტიპის ლიბერალურ დემოკრატიად და ნატოსა და ევროკავშირში გაწევრიანდეს. ამ საფრთხეს რუსეთი სხვადასხვა დოზით, მაგრამ მაინც ყოველთვის ხედავს უკრაინის, მოლდოვის, ბელარუსის, საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის („დასავლეთის ექვსეულის“) შემთხვევაში. ამის მიზეზი ისაა, რომ ეს სახელმწიფოები, გეოგრაფიული გაგებით, ან ევროპას ეკუთვნიან, ან, სულ მცირე, შესაძლებელია დროთა განმავლობაში ევროპის განუყოფელი ნაწილი გახდნენ, რადგან თავად ევროპის ცნება და საზღვრები გარკვეულ მასშტაბებში იცვლება. შავი ზღვა და თურქეთთან მეზობლობა სამხრეთ კავკასიისთვის ნატოსა და ევროკავშირის გეოგრაფიული გასაღებია. რუსეთის შიშის გეოგრაფიული ბუნება დასტურდება, რადგან იგი პროაქტიულ ნაბიჯებს დგამს „დასავლეთის ექვსეულის“ საკუთარ ორბიტაზე შესანარჩუნებლად მაშინაც კი, როდესაც ეს ქვეყნები ავტორიტარული და კორუმპირებული მმართველობის ქვეშ იმყოფებიან, როგორც ეს რევოლუციამდელი სომხეთისა და ბელარუსის მაგალითებზე ჩანს. „დასავლეთის ექვსეულში“ დემოკრატიის წინასწარი დემონიზება და ქაოსთან გაიგივება რთულია რეგიონული „უბედურებათა იერარქიის“ გამო, რაც საზოგადოების მიერ საკუთარი თავის სხვა ახლომდებარე სახელმწიფოებთან შედარებას გულისხმობს. ამიტომ საჭირო ხდება დემოკრატიის post factum დემონიზება, რისთვისაც რუსეთი არ ერიდება ომების წარმოებას ან სამომავლო ომის რეალური საფრთხის არსებობით ზეწოლას (პირდაპირ თუ ირიბად, როგორც ეს სომხეთის შემთხვევაშია). „სტაბილურობა“ კასპიის ზღვის ორივე მხარეს მოიცავს „არადინამიკურ“ არჩევით დემოკრატიებსაც, ანუ სანახევროდ რეფორმირებულ და სტაგნაციაში მყოფ პოსტსაბჭო-

თა სახელმწიფოებსაც, მაგრამ გეოგრაფიული მდებარეობის გამო „დასავლეთის ექვსეულში“ რუსეთისთვის მისაღები პოსტსაბჭოთა ტიპის „სტაბილურობა“ (ავტორიტარიზმი, კორუფცია) და, შესაბამისად, რუსეთის სოციალურ-პოლიტიკური გავლენაც საკმაოდ მყიფეა. დემოკრატიზაციის შემდგომი „დასტაბილურების“ პერიოდი რუსეთთან ურთიერთობებს მხოლოდ ზედაპირულად აუმჯობესებს, რეალურად კი, რუსეთს საკუთარი გავლენის შედარებით მშვიდად გავრცელების საშუალებას აძლევს. აქედან გამომდინარე, „დასავლეთის ექვსეულის“ ცალკეულ მთავრობათა და მათ ინტერესთა მიმართ რუსეთის ურთიერთობა სხვადასხვა ვითარებაში შეიძლება იყოს კონსტრუქციული, მაგრამ რუსეთის დამოკიდებულება მათი სახელმწიფოებრიობის მიმართ იმთავითვე დესტრუქციულია, რაც სრული სიცხადით ვლინდება ამ ქვეყნების დემოკრატიზაციის მცდელობისთანავე.

კასპიის ზღვის დასავლეთით მდებარე პოსტსაბჭოთა ქვეყნებს არ უნდა ჰქონდეთ იმის ილუზია, რომ მათ შეუძლიათ საფუძვლიანი დემოკრატიზაცია და რუსეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობა ერთდროულად განავითარონ. მათ, მით უმეტეს, არც იმის ილუზია უნდა ჰქონდეთ, რომ ავტორიტარული თუ „სტაბილური“ ჰიბრიდული რეჟიმები მათ თანამედროვე რუსეთის ძირგამომთხრელი ქმედებებისაგან სრულად ან გრძელვადიან პერსპექტივაში დაიცავს. „მით უმეტეს“ იმიტომ, რომ ამ ილუზიის შექმნა უფრო ადვილია, ვიდრე დემოკრატიზაციის ფონზე რუსეთთან კარგი ურთიერთობის შენარჩუნების.

რაც შეეხება ცენტრალურ აზიას, რუსეთმა იცის, რომ საფუძვლიანი დემოკრატიზაციისათვის არასახარბიელო „უბედურებათა იერარქიის“, ანუ, ფაქტობრივად, არასახარბიელო გეოგრაფიული გარემოს წყალობით, რეგიონის პოსტსაბჭოთა რეჟიმები დემოკრატიზაციის დისკრედიტაციას ეფექტურად უზრუნველყოფენ. ცენტრალურ აზიაში დემოკრატიზაცია წმინდად გეოგრაფიული მიზეზის გამოც კი ვერ მოიტანს ევროატლანტიკურ ინტეგრაციას. ყირგიზეთი, ერთადერთი ქვეყანა რეგიონში, რომელიც დემოკრატიისთვის იბრძვის, ჯერჯერობით მაინც ვერ ახერხებს საფუძვლიან ტრანსფორმაციას და დღემდე რჩება სხვა ქვეყნების მოსახლეობისათვის არასახარბიელო ცხოვრების მაგალითად. ამ რეგიონში რუსეთთან ურთიერთობა ბევრად უფრო დამოკიდებულია ამ ქვეყნების „სტაბილურობაზე“, ხოლო ხელისუფლებათა მუდმივი „სტაბილურობის“ გამო ცენტრალური ხელისუფლება, სახელმწიფო კონსოლიდაცია და კონკრეტული რეჟიმის კონსოლიდაცია დიდწილად სინონიმება-

დაც კი იქცევა. შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ ვლადიმირ პუტინისთვის საბჭოთა კავშირის დანგრევა XX საუკუნის უდიდესი გეოპოლიტიკური კატასტროფა იყო, თანამედროვე რუსეთი არ არის ცენტრალური აზიის სახელმწიფოთა მიმართ იმთავითვე დესტრუქციულად განწყობილი.

თუმცა, თუკი ცენტრალური აზიის რომელიმე ერთი სახელმწიფო წარმატებით მოახერხებს ერთდროულად საზოგადოებრივი კეთილდღეობის უზრუნველყოფასაც და არაკორუმპირებული დემოკრატიული ინსტიტუტების მშენებლობასაც, მაშინ რეგიონის „უბედურებათა იერარქია“, შესაძლოა, თავდაყირა დადგეს და დემოკრატიზაციამ მთელი ცენტრალური აზია მოიცვას. თუკი ეს მოხდება და თუკი რუსეთი ისეთად დარჩება, როგორიც დღეს არის, ალბათ იგი მნიშვნელოვანწილად შეიცვლის საკუთარ დამოკიდებულებას ცენტრალური აზიის ქვეყნების მიმართ. ისიც უნდა ითქვას, რომ ევროატლანტიკური დახმარების გარეშე ასეთი რამ მოსალოდნელი არ არის, თუმცა თეორიულად, რა თქმა უნდა, არაფერია გამორიცხული.

ჯერჯერობით კი კასპიის ზღვა გამოდის ის გზაგასაყარი, რომელიც განსაზღვრავს, თუ როგორი დამოკიდებულება ექნება რუსეთს პოსტსაბჭოთა სახელმწიფოს მიმართ. კასპიის ზღვის „დიდი კედელი“ არის ევროპეიზაციის უკიდურესი აღმოსავლეთი საზღვარი. ამიტომ „კედლის“ დასავლეთით მდებარე ქვეყნები რუსეთისთვის, სულ მინიმუმ, „პოტენციური ევროპაა“ და, შესაბამისად, სახელმწიფოებრივად მიუღებელია დემოკრატიული თუ ავტორიტარული მმართველობით, ხოლო მისი აღმოსავლეთით მდებარე ქვეყნები კი – „სტაბილურობაა“, რისი წყალობითაც ამ სახელმწიფოებთან (და არა მხოლოდ კონკრეტულ მთავრობებთან) საერთო ენის გამონახვა რუსეთისათვის უფრო შესაძლებელია.

გამოყენებული წყაროები:

1. Plokhy, S. (2017). *Lost Kingdom: A History of Russian Nationalism from Ivan the Great to Vladimir Putin.* Great Britain: Allen Lane., pp. 320-338.
2. Crosston, M. (2016). *Fostering Fundamentalism: Terrorism, Democracy and American Engagement in Central Asia.* New York, NY: Routledge., p. 60.
3. Matveeva, Anna (2010). Legitimising Central Asian Authoritarianism: Political Manipulation and Symbolic Power. *Europe-Asia Studies 61(7):* 12-38.
4. Harding, L. (2010, June 12). "Kyrgyzstan Calls for Russian Help to End Ethnic Riots." *The Guardian.*
5. Losh, J. (2020, November 25). "Russian Troops in Nagorno-Karabakh 'Clearly a Win for Moscow.'" *Foreign Policy.*
6. Shirinyan, A. (2019). "Armenia's Foreign Policy Balancing in an Age of Uncertainty." *Chatham House.*
7. Oruç, M., Ş. (2020, November 23). "How Vladimir Putin Punished Nikol Pashinyan." *Daily Sabah.*
8. Пименов, А. (2016, Май 13) "Нагорный Карабах: региональный конфликт в контексте геополитических интересов Москвы." *Голос Америки.*
9. Collins. K. (2002). "Clans, Pacts and Politics in Central Asia." *Journal of Democracy, 13(3):* pp. 137-152.
10. Sobiri, B. (2017, June 23). "The Long Echo of Tajikistan's Civil War." *openDemocracy.*
11. Costa Buranelli, F. (2018). "Spheres of Influence as Negotiated Hegemony – The Case of Central Asia." *Geopolitics*, *23*(2), 378-403.
12. *Ibidem.*
13. Costa Buranelli, F. (2015). "International Society and Central Asia."
14. Matveeva, A. (2009). "Legitimising Central Asian Authoritarianism: Political Manipulation and Symbolic Power." *Europe-Asia Studies 61(7):* 1095-1121.
15. *Ibidem.*
16. *Ibidem.*
17. *Ibidem.*
18. Omelicheva, M. Y., (2016). "Authoritarian Legitimation: Assessing Discourses of Legitimacy in Kazakhstan and Uzbekistan," *Central Asian Survey*, *Volume 35, Issue 4.*
19. *Ibidem.*
20. Olcott, M., B. (2005). *Central Asia's Second Chance.* Carnegie Endowment for International Peace, p. 130.
21. Atlantic Council. (2020, October 8). "Kyrgyzstan Gripped by Political Chaos Again: What Comes Next?"
22. Hashimova, U. (2020). "Uzbekistan Temporarily Chooses Observer Status Instead of Full Membership in Eurasian Union." *Eurasia Daily Monitor Volume: 17 Issue: 37.*
23. Megoran, N. (2017). *Nationalism in Central Asia: A Biography of the Uzbekistan-Kyrgyzstan Boundary*. University of Pittsburg Press.

24. Allison, R. (2008). “Virtual Regionalism, Regional Structures and Regime Security in Central Asia.” *Central Asian Survey, 27(2).*

25. Najibullah, F. (2014, September 3). “Putin Downplays Kazakh Independence, Sparks Angry Reaction.” *Radio Free Europe/Radio Liberty.*

26. RFE/RL Russian Service. (2020, June 22). “Kremlin Denies Eyeing Territorial Claims After Putin’s Comments in Documentary.”

27. *Ibidem.*

28. Senggirbay, M. (2019). “Ethnic Identity of Kazakhstani Russians: The Dynamics of Change and the Place of Russia as a Kin State.” *Journal of Nationalism, Memory and Language Politics, 13(1).*

29. Goltz, T. (2009). “The Paradox of Living in Paradise: Georgia’s Descent into Chaos.” In A. Cornell, S., & Starr, F. (Eds.), *The Guns of August 2008: Russia’s War in Georgia.* Armonk, NY: M.E. Sharpe.

30. Clunan, A. L. (2009). *The Social Construction of Russia’s Resurgence: Aspirations, Identity and Security Interests.* Baltimore: The Johns Hopkins University Press.

31. Huntington, S., P. (1996). *The Clash of Civilizations and the Remaking of World Order.* New York: Touchstone, p. 164.

32. Grigoryan, M. (2010, August 20). “Russia Signs Base Lease Extension with Armenia.” *Eurasianet.*

33. Gardner, A. (2013, September 3). “Armenia Chooses Russia over EU.” *Politico.*

34. Kucera, J. (2017, November 24). “Armenia Signs Landmark Agreement with EU.” *Eurasianet.*

35. International Crisis Group. (2019). “Digging out of Deadlock in Nagorno-Karabakh.”

36. Krawatzek, F. (2020, September 3). “Young Belarusians are Turning Away from Russia and Looking Towards Europe.” *The Conversation.*

37. Khurdushyan, I. (2020, September 14). “Putin, Lukashenko Discuss ‘Integration’ as Protests in Belarus Continue.” *The Washington Post.*

38. Giragosian, R. (2019). “Paradox of Power: Russia, Armenia, and Europe after the Velvet Revolution.” *European Council on Foreign Relations.*

39. Shinkman, P., D. (2014, April 1). “Behind Russia’s ‘neo-Nazi’ Propaganda Campaign in Ukraine.” *U.S. News.*

40. Rubin, M. (2020, December 15). “In Caucasus War, Russia Succeeded to Demonize Democracy.” *The National Interest.*

41. Романов. (2020 ноябрья) “Премьер-министра Армении обвиняют в предательстве. Кто требует отставки Пашиняна?“ https://www.youtube.com/watch?v=IxmrDwZTGvc&ab_channel=%D0%A0%D0%BE%D0%BC%D0%B0%D0%BD%D0%BE%D0%B

42. Aprasidze, D. & Siroky, D., S. (2020). “Technocratic Populism in Hybrid Regimes: Georgia on My Mind and in My Pocket.” *Politics and Governance, Volume 8, Issue 4,* pp. 580–589.

43. Konończuk, W., Cenușa, D., & Kakachia, K. (2019). “Oligarchs in Ukraine, Moldova and Georgia as Key Obstacles to Reforms.” *3DCFTAs.*

44. Transparency International (2020, December 11). “Is Georgia a Captured State?”